



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 128/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიტა გორგილაძე (სტუდენტი)

ფაქტები

კლიენტმა მიმართა ეთიკის კომისიას ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით. კლიენტი იყო მსჯავრდებული ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე იურიდიული დახმარებისთვის მიმართა ადვოკატს. კლიენტის განმარტებით ადვოკატი არ აწვდიდა შესაბამის ინფორმაციას, არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები მის დასაცავად, ასევე იგი ვალდებული იყო ეწარმოებინა ხარჯთაღრიცხვა და არ აწარმოა, გადახდილი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება სრულად არ შეუსრულებია. ადვოკატის განმარტებით, კლიენტმა მას სთხოვა კონკრეტული ადვოკატების წინააღმდეგ ეთიკის კომისიისთვის მიმართვა და გადახდილი ჰონორარის უკან მოთხოვნა. ადვოკატისთვის წარმოუდგენელი იყო მისი კოლეგების წინააღმდეგ დავაში კლიენტის ინტერესების წარმოდგენა და მოუწოდებდა ყოფილ ადვოკატებთან კონფლიქტისგან თავის შეკავებას.

პროცესუალური ისტორია

საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა რომ შესაძლოა, ადვოკატი საადვოკატო მომსახურების დაწყების ეტაპზე არ გაეცნო კლიენტის საქმის მასალებს. ასევე კოლეგიამ მიიჩნია, რომ სავარაუდოდ, ადვოკატი მომსახურების განხორციელებისას მოქმედებდა კლიენტისადმი პირადი შეხედულებიდან გამომდინარე, რითიც სავარაუდოდ, ადვოკატის მიერ დარღვეული იყო კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა და ადვოკატის დამოუკიდებლობა. საპროცესო კოლეგიამ ასევე აღნიშნა, რომ საადვოკატო მომსახურების განმავლობაში არ აწარმოებდა ხარჯთაღრიცხვას, შესაბამისად შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო აპკით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის წარმოების ეთიკური ვალდებულება. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტების ერთობლიობა ქმნიდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის, 8.5 და 8.12 მუხლების შემადგენლობას.

სამართლებრივი შეფასება

კვალიფიციური მომსახურება გულისხმობს ადვოკატის მიერ საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, მათ შორის, კლიენტის საქმის მასალების გაცნობისა და საქმისათვის მომზადებას. მოცემულ შემთხვევაში, არ დადასტურდა ის გარემოება, რომ ადვოკატი საადვოკატო მომსახურების განხორციელების ფარგლებში არ ეცნობოდა საქმის მასალებს. კლიენტი თავად ადასტურებდა, რომ ადვოკატი საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე უწევდა კონსულტაციებს და მისი საქმის თაობაზე ფლობდა ინფორმაციას. განსახილველ შემთხვევაში, არ დადასტურდა ის გარემოება, რომ ადვოკატი დაგვიანებით გაეცნო კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და ამით კლიენტს მიაყენა ზიანი. კლიენტი უთითებდა რომ ადვოკატი არ ნახულობდა პენიტენციურ დაწესებულებაში, თუმცა დასტურდება რომ ხუთჯერ იყო ადვოკატი მისული მასთან. (6.2 პუნქტი გადაწყვეტილების, კლიენტთან ურთიერთობის დაწყებაზე) არ დადასტურდა რომ, რომ ადვოკატს უნდა ეწარმოებინა კონკრეტულ ამ საქმესთან დაკავშირებით კონკრეტული ხარჯთაღრიცხვა. ამასთან, ადვოკატმა კლიენტს დაუბრუნა

¹ <https://gba.ge/pdf/5e4bf53c3956b.pdf/128.18%20gamartleba%2016.09.2019.pdf>

ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ არსებული გამოუმუშავებელი ჰონორარი. მოცემულ შემთხვევაში, არ დამტკიცდა, რომ ადვოკატის პოზიცია არის მისი პირადი შეხედულება კლიენტის პიროვნებისადმი, რამაც გამოიწვია ადვოკატსა და კლიენტს შორის პირადი ინტერესების დაპირისპირება. საქმის განხილვის ეტაპზე, არ დადასტურდა ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების განხორციელების ფარგლებში დამოუკიდებლობის პრინციპის საწინააღმდეგოდ მოქმედება.

დასკვნა

განხილვის კოლეგიის შეფასებით, არ დადასტურდა რომ ადვოკატმა დაარღვია საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული აპკ-ის მუხლები. შესაბამისად, კომისიამ მიიღო ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება.